



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Legal Entity Public Law
SAMTSKHE-JAVAKHETI STATE UNIVERSITY
ტაროვადგენდობის საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL



ოქმი № 6

„17“ 10 2022წ

დადგენილება № 28

„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უძრავ ქონებაში შემავალი ფართის იჯარით გაცემისა და მასში არსებული მოძრავი ქონების მოიჯარისათვის სასყიდლიან სარგებლობაში (ქირავნობის ხელშეკრულებით) გადაცემის შესახებ“ 2022 წლის 10 ოქტომბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 85-ე მუხლის პირველი და 1¹ პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-5 და 5¹ პუნქტების და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უძრავ ქონებაში შემავალი ფართის იჯარით გაცემისა და მასში არსებული მოძრავი ქონების მოიჯარისათვის სასყიდლიან სარგებლობაში (ქირავნობის ხელშეკრულებით) გადაცემის შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 ოქტომბრის N19 დადგენილებაში და აღნიშნული დადგენილების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფართის ყოველწლიური საიჯარო ქირის საწყისი ღირებულება და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოძრავი ქონების სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის ყოველწლიური ქირა განისაზღვროს 2022

წლის 10 ოქტომბრის #22/1041; #22/1042 და #22/1043 აუდიტორული (საშემფასებლო) დასკვნების შესაბამისად.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების სამსახურს და განთავსდეს ვებ-გვერდზე.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი

ა. ბაგრატიონი
ლავრენტი ჩიბურდანიძე